



27 აპრილის შუალედური საპარლამენტო არჩევნების შეფასება

2013 წლის 27 აპრილს ნაძალადევის #9, ბაღდათის #52 და სამტრედიის #54 საარჩევნო ოლქებში შუალედური საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ამ ოლქების ამომრჩეველი საქართველოს პარლამენტში საკუთარ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს. როგორც ცნობილია, აღნიშნულ ოლქებში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატების აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის გამო პარლამენტს სამი წევრი გამოაკვდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 27 აპრილის შუალედური საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო პროცესების მიმდინარეობას აკვირდებოდნენ.

საარჩევნო გარემო

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2013 წლის შუალედური საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. მთლიანობაში, სამივე საარჩევნო ოლქში საარჩევნო გარემო კონკურენტული იყო. კანდიდატებს ეძლეოდათ საშუალება თავისუფლად წარემართათ საარჩევნო კამპანია, გაეგრძელებინათ სააგიტაციო მასალები, გაემართათ შეხვედრები ამომრჩეველებთან. ამომრჩეველები არ იყვნენ შეზღუდული დასწრებოდნენ წინასაარჩევნო შეხვედრებს და გამოეხატათ საკუთარი პოზიცია რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად.

აღნიშნულ ოლქებში, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ნაკლებად ვრცელდებოდა ინფორმაცია პოლიტიკური მოტივით **სამსახურიდან გათავისუფლების** ფაქტებთან დაკავშირებით. ძირითადად, ბენოლა-მუქარისა თუ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე ინფორმაციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ახმაურებდა, თუმცა გადამონმების შედეგად, ხშირად ფაქტები არ დასტურდებოდა.

სამტრედიის საარჩევნო ოლქში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინა - ერთ შემთხვევაში, ხონის პოლიციის უფროსის მიმართ წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წესების დარღვევის გამო, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ადლობრივი გაზეთის მიმართ ბეჭდური სააგიტაციო მასალის დამზადების წესების დარღვევის გამო. სამწუხაროდ, სასამართლომ არც ერთი შემთხვევა არ მიიჩნია ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებად და თავის გადაწყვეტილებებში საკმაოდ ვიწროდ განმარტა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლებლობა, რაც მომავალში შესაძლოა ნეგატიური პრეცედენტი გახდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტების აღკვეთის თვალსაზრისით.

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების **საგამოძიებო ორგანოებში დაბარების** ფაქტები, რაც მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც ფსიქოლოგიური ზეწოლა და პარტიულ საქმიანობაში ხელშეშლა. ამ ტენდენციის საპასუხოდ, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით მიმართა სამართალდამცავ უწყებებს წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში შეეწყვიტათ კამპანიაში ჩართული აქტივისტების დაკითხვებზე დაბარება. აღნიშნული რეკომენდაციის შემდეგ მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარ ჰქონია, რაც მისასალმებელი ფაქტია. კომისიის რეკომენდაციით, ასევე, არჩევნების დღემდე ერთი კვირით ადრე შეჩერდა სოციალური რეკლამები, რომლებიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის ბარათებს.

უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამართული შეხვედრები პოლიტიკური პარტიებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და დებატების მისაღები ფორმატი აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გასულ საპარლამენტო არჩევნებზე, ასევე მოცემული შუალედური არჩევნებისას წინასაარჩევნო პერიოდის მიმდინარეობის შესახებ დისკუსიამ ცესკოს ნაცვლად უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში გადმოინაცვლა.

წინასაარჩევნო პერიოდში **მედია** საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, სამმა დიდმა მაუწყებელმა „იმედმა“ „მაესტრომ“ და „მეცხრე არხმა“ საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარი განაცხადეს, რამაც შესაძლოა გარკვეულწილად დააბრკოლა კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის ამომრჩევლისთვის გაცნობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უარით მაუწყებლებს კანონი არ დაურღვევიათ, ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ და ყველა საერთო ეროვნულ მაუწყებელს, მათ შორის შპს „სტუდია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მაესტროს“, შპს „მეცხრე არხს“ და შპს „ტელეიმედს“ მიეცათ რეკომენდაცია, „რათა მათ მიმდინარე შუალედური არჩევნებისას, იმის გათვალისწინებით რომ ადგილობრივთან ერთად ისინიც ფარავენ ბაღდათს, თბილისსა და სამტრედიას, განათავსონ წინასაარჩევნო რეკლამები უფასოდ, კანონით განსაზღვრული მოცულობით“. აღნიშნული პრობლემა განაპირობა რეგულაციამ, რომლის მიხედვითაც რეკლამის განთავსების ვალდებულება შუალედური არჩევნებისას მხოლოდ ადგილობრივ მაუწყებლებზე ვრცელდება. ადგილობრივ მაუწყებელს კი კანონი ძალიან ვიწროდ განმარტავს რაც შუალედურ არჩევნებზე ქმნის საფრთხეს, რომ უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ვალდებულება არც ერთ მაუწყებელს აღარ ექნება.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება ძირითადად ხარვეზების გარეშე წარიმართა, გარდა **ნაძალადევის #9** საარჩევნო ოლქისა, სადაც, #5, #18 და #38 საარჩევნო უბნების კომისიის წევრების არჩევის პროცედურასა და სხდომის ოქმში აღმოჩენილი ხარვეზების გამო, უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდა ნაძალადევის #9 საოლქო კომისიის თავმჯდომარეს, გაფრთხილება გამოეცხადა ამავე საოლქო კომისიის მდივანს, ხოლო სამივე უბნის კომისიის წევრების არჩევის შესახებ საოლქო კომისიის განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი (?? ????? 16 ?????? ?????? ?????? #86/2013 ???????????). აღსანიშნავია ასევე, რომ „სამართლიანი არჩევნების“ მონაცემებით, ამავე ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრებიდან საუბნო საარჩევნო კომისიების 14 თავმჯდომარე და 15 მოადგილე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული წევრები იყვნენ. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბრალს საკონკურსო დოკუმენტაციის გაყალბებაში დებდა და ითხოვდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას (???? ?????? ?????????? - ?????????? - ??????????).

ცესკოს საქმიანობის მიმართ ძირითადი კრიტიკა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია. 2013 წლის 26 თებერვლის #7/2013 დადგენილებით ცესკომ 27 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია დაამტკიცა. ინსტრუქციით განიმარტა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის წესი და აღინიშნა, რომ კომისიის მდივანი აირჩევა პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან (გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული წევრისა) (????????? ?????? 25-? ?????, ????? 15 : ?????? ?????????? ?????????? ?????? ?????? ?????????? ?????? ?????? ?????????? (????? ???? ?????????????? ??????????)).

